ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- 2023 წლის იანვარში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 8.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.
- 2023 წლის თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 8.1%-ს გაუტოლდა, რაც ძირითადად განპირობებულია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდით.
- იანვარში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 25.1%-ით, ხოლო ხარჯები 14.4%-ით გაიზარდა.
- იანვარში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 43.5 მლრდ ლარი შეადგინა, მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობის, მრეწველობისა და მშენებლობის დარგებში.
- იანვარში* ექსპორტმა 38.5%-ით, ხოლო იმპორტმა 25.2%-ით მოიმატა და სავაჭრო ბრუნვამ 1,462 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- იანვარში* ფულადმა გზავნილებმა 445.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 60.1%) და ევროკავშირის ქვეყნები (20.4%) წარმოადგენდნენ.
- თებერვალში მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 4,720 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.
- იანვარში*, წინა თვესთან შედარებით, შემცირდა დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი, სესხებზე კი მცირედით გაიზარდა.
- თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 1.1%-ით, ხოლო ევროს მიმართ 1.5%-ით გამყარდა.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

1. რეალური და ფისკალური სექტორი



2023 წლის იანვარში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 8.4%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის იანვარში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 8.4% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა[1] 2.7% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.





2023 წლის თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 8.1%-ს შეადგენს.

წინა წლის თებერვალთან მიმართებით, 2023 წლის თებერვალში ინფლაციის დონე 8.1%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერგიაზე, აირზე, სასტუმროებსა და რესტორნებზე, ავეჯზე და საოჯახო ნივთებზე, ალკოჰოლურ სამელებსა და თამბაქოზე და სხვა. თებერვალში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 6.5%-ით განისაზღვრა. 2023 წლის იანვარში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 10.2% შეადგინა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.



2023 წლის იანვარში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის იანვარში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 25.1%-ით, ხოლო ხარჯები 14.4%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 501 მლნ ლარით, ხოლო დადებითი მთლიანი სალდო 318.7 მლნ ლარით განისაზღვრა.





2023 წლის იანვარში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ლარში გაცემული სესხები გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები შემცირდა.

წინა წლის იანვართან მიმართებით, 2023 წლის იანვარში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 5.4%-ით მოიმატა და 43.5 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 16.5%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 5.7%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.7%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 20.5% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.6% - მრეწველობის, 18.1% - მშენებლობის, 13.9% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.8% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



2023 წლის იანვარში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.

კერძოდ, ექსპორტმა 38.5%-ით, ხოლო იმპორტმა 25.2%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 29.1%-ით გაიზარდა და 1,462 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 31.4%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: პერუში (24,461%-ით, აზოტოვანი სასუქების ექსპორტის მკვეთრი ზრდის ხარჯზე), აგრეთვე ესპანეთში (2,332.1%), ყირგიზეთში (1,031.8%), ყაზახეთში (433.5%), სომხეთში (235.6%), რუსეთში (105.7%). ხოლო შემცირდა ექსპორტი უკრაინაში (77.9%).

საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა მსუბუქი ავტომობილების (186.6%-ით), სიგარეტების და თამბაქოს (154.6%-ით), ფეროშენადნობის (61.8%-ით), ძვირფასი ლითონების მადნების (49.4%-ით) და სპირტიანი სასმელების (43.7%-ით) ჯგუფებში.





2023 წლის იანვარში* ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის იანვარში* საქართველოში ფულადი გზავნილები 163.5%-ით გაიზარდა და 445.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იანვარში* გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 60.1%) და ევროკავშირის ქვეყნები (20.4%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა რუსეთიდან (1,095.7%-ით), ბელარუსიდან (300.0%-ით), ტაჯიკეთიდან (120.0%-ით), ირლანდიიდან (73.5%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (72.1%-ით), სომხეთიდან (66.9%-ით), გერმანიიდან (61.8%-ით), ყირგიზეთიდან (60.1%-ით), აშშ-დან (40.8%-ით), საფრანგეთიდან (33.7%-ით), ყაზახეთიდან (32.1%-ით), და სხვა.



2023 წლის თებერვალში საერთაშორისო რეზერვებმა 4,720 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2023 წლის თებერვალში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,720 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 18.2%-ით მეტი, წინა თვესთან მიმართებით კი 3.7%-ით ნაკლები.

2023 წლის თებერვლის თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ინტერვენციები არ განხორციელებულა.



3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2023 წლის იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის იანვარში* სარეზერვო ფულის მასა 10.6%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 22.8%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 11.0%-ს გაუტოლდა. 2023 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 8.1% შეადგინა.





2023 წლის იანვარში*, წინა თვესთან შედარებით, დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა, სესხებზე კი მცირედით გაიზარდა.

2023 წლის იანვარში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.23%-ული პუნქტით შემცირდა და 52.8%-ით განისაზღვრა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.03%-ული პუნქტით მოიმატა და 44.8% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2023 წლის იანვარში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 3.2%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 4.1%-ით შემცირდა.





2023 წლის იანვარში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.4%-ული პუნქტით გაიზარდა, ხოლო სესხებზე 0.3%-ული პუნქტით შემცირდა.

2023 წლის იანვარში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.9% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 8.1%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2023 წლის იანვრის* მდგომარეობით 4.8% შეადგინა, 1.1%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის იანვართან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად (11.0%) დატოვა.

2023 წლის თებერვალში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლარის და ევროს მიმართ გამყარების ტენდენციას ავლენს.

2023 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.1%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 1.5%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 1.5%-ით გამყარდა. ამ პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის თებერვალში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 13.7%-ით, ევროს მიმართ 20.2%-ით, თურქული ლირას მიმართ კი 56.8%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.



4. რეგიონული მიმოხილვა

2023 წლის თებერვალში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, 2023 წლის თებერვალში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 55.2% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (8.1%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2023 წლის იანვრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აზერბაიჯანში 13.6%-ით, ხოლო რუსეთში 11.8%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია, თებერვალი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
თებერვალი, 2023



2023 წლის თებერვალში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

კერძოდ, 2023 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა სომხური დრამი (22.1%-ით), რუსული რუბლი (5.5%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.02%-ით), ხოლო თურქული ლირა (27.5%-ით) გაუფასურდა.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იან 23	თებ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	14.6	10.6	2.6	11.6	7.2	9.7	10.5	8.8	8.3	9.3	11.0	8.4	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	27.3	24.4	11.7	25.3	20.4	21.9	23.0	19.5	14.8	16.7	16.6	18.8	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	13.7	11.8	12.8	13.3	12.8	11.5	10.9	11.5	10.6	10.4	9.8	9.4	8.1
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.5	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.5	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.4	0.4	0.4	0.4	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.0	3.2	3.1	3.0	3.0	2.8	2.8	2.9	2.8	2.7	2.7	2.7	2.6
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	183 418.8	193 065.3	308 140.1	505 708.1	427 354.6	306 023.4	334 266.1	387 177.7	501 998.8	521 164.6	535 251.1	444 964.0	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	429.0	411.4	415.7	522.6	448.5	542.1	473.3	523.2	448.7	491.1	555.8	459.0	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1 019.2	926.1	992.8	1 181.0	1 109.2	1 173.7	1 265.5	1 137.3	1 203.8	1 310.0	1 397.3	1 002.8	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-590.2	-514.7	-577.1	-658.4	-660.7	-631.6	-792.2	-614.2	-755.0	-819.0	-841.5	-543.9	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3 992.9	4 030.6	3 826.4	3 855.2	3 922.4	4 156.7	4 260.7	4 313.1	4 385.6	4 636.7	4 900.6	4 899.3	4 720.2
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1 292.1	1 731.5	1 263.2	1 697.9	1 707.5	1 424.4	1 356.2	1 680.6	1 688.4	1 898.4	2 151.6	1 858.0	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1 226.2	1 413.1	1 350.9	1 377.3	1 277.2	1 510.8	1 158.4	1 312.9	1 296.9	1 561.6	2 090.5	1 357.0	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	218.0	304.2	230.5	266.1	445.9	327.5	403.4	624.5	148.0	600.3	1 054.5	185.9	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[2]**.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[2] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.